სანჯინი მარაბტა (2, აშშ) — ამელი მორესი (8, საფრანგეთი) 6:3, 6:4; შინუს უილიამსი (4, აშშ) — კიმ კლი-სტერსი (ბელგია) 6:3, 6:1	

მარჯვებამდე რომ მიმეყვანა“ — ასპარეზობითა და მაყურებლებით უზომოდ კმაყოფილი ჩანდა სამპრასი.

პისტოლ პიტს ხვალისდელ მატჩში ჩემპიონის ტიტულის დამცველ რუს მარაბტ საფინალში მარაბტს დაინტერესდა. მარაბტს საფინალში მარაბტს დაინტერესდა. მარაბტს საფინალში მარაბტს დაინტერესდა. მარაბტს საფინალში მარაბტს დაინტერესდა.

„როდესაც ბოლოს მარაბტს ვითამაშე, ცოტა დათრუხვნილი გახლდით, მაგრამ მას შემდეგ ერთი წელი ვავიდა. ასე რომ, ახლა სხვაგვარად წარმართება ყველაფერი“ — იმდენადანაა 13 დიდი სლემის მოპოვებელი.

აი, საფინის ხმაში კი ბზარი იგრძობა. მოქმედი ჩემპიონი დამწუხრებულია იმით, რომ კალენდრის შეცვლა არ ძალუძს რუსს მარაბტს, რომ საზოგადოებრივ სეზონის სექტემბერში დაწყება მისთვის უკეთესი იქნებოდა, ამ დროისთვის ჩემს თამაშს ვპოულობო.

„მე აქ მოგებას, უფრო სწორად, რამდენიმე მატჩის მოგებას ვცდილობ. შეგიძლიათ, ასეთი რამ წარმოიდგინოთ? ავსტრალიაში ავიღეთ სტარტა და ახლა სექტემბერში წელი დასრულდა. ეს არ შეიძლება. ასე რომ, მგონი, ნახევარფინალში წავაგებ. მიუხედავად ამისა, ბრწყინვალე ტურნირი გამოდგა. უბრალოდ კი არაფრის დათმობას არ ვაპირებ“.


— საოცარია საფინის გულახდილობა. ეგებს ეს გარკვეული სტრატეგია იყო, ყოველ შემთხვევაში, ხვალე შეეცდებით, სამპრასისა და საფინის ნახევარფინალურ ორთაბრძოლაში ვინ მოიგებს.

ქალთა მოქმედ ჩემპიონ ვინუს უილიამსთან თამაშის უფლება მოიპოვა ჯენიფერ კაპრიატიმაც, თუმცა სამპრასისა და აგასის დარი ორთაბრძოლა კაპრიატისა და ამელი მორესის შორის არ გვიხილავს. ორსეტიან პაექრობაში მეორედ განთქმულმა ამერიკელმა ლესბოსელ მორესი გერმანიის ღია პირველობაზე მარცხის გამო რეგნამ აიღო და საკმაოდ იოლადაც 6:3, 6:4.

„ბრწყინვალე შეგრძობაა, განსაკუთრებით ამ ტურნირზე. მიმანია, რომ თითოეულ ხელში კარგად თამაშის საშუალება მქონდა. ამ წრეშიც, ამ მატჩშიც ვიკოდი, როგორ ვაგსულუფავი კორტზე და ჩემი საუკეთესო თვისებები გამოიქვლინა. მე ეს შეუძელი. აქედან გამომდინარე ვასკენი, რომ ყოველ წრეში უკეთ და უკეთ ვითამაშებ. თან სულ ისეთი შეგრძობა მაქვს, რომ მომდევნო მატჩისთვისაც მზად ვარ. რაც შეეხება ჩემს დამარცხებულ მეტოქეს, მან არაერთი შეცდომა დაუშვა. ალბათ იმიტომ, რომ ჩემს ზეწოლას ვერ გაუძლო. სწორედ ეს დაგისახე მოხდა — განაცხადა კაპრიატიმ და იქვე მომავალ მეტოქეზე გააგრძელა სიტყვა — ამ შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად იქნება. ჩვენს პაექრობას ზღვა მაყურებელი ეყოლება. ერთდღერით, რასაც ვაპირებ, ჩემი თამაში ვითამაშო, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე სულაც არ ვაპირებ, საკუთარ თავს გადავხატე მხოლოდ იმიტომ, რომ მას ვხვდები. მე მხოლოდ იმას ვაგაკეთებ, რისი უნარიც შემწვევს. რაც მოსახდენია, მოხდეს“.

ამჟამად კაპრიატს ბრწყინვალე შანსი აქვს პირველობა ჩამოართვას მარტინა პინგისს. კარიერაში პირველი ჩოგბურთის პატივი რომ ხვდეს წილად, ამისთვის მას ფინალში გასვლა სჭირდება, თუმცა მარტო მასზე არაა ეს დამოკიდებული. თავის მხრივ მარტინა პინგისმა უნდა დათმოს ნახევარფინალური ბრძოლა სერენა უილიამსთან.

„ერთდღერით, რაც ახლა მსურს, ეს კარგად ასპარეზობაა. არც აქამდე ვაგრჯილვარ ცუდად, მაგრამ მშვენიერი იქნება, თუ პირველ ჩოგბურთსაც მოვიპოვებ“ — სურვილი გაგვანდო ჯენიფერმა.



ყველა სამპრასი — აგასი

თარიღი	ტურნირი	ეტაპი	მატჩის შედეგი
1989	რომი	ოცდამეთორმეტედღიანი	აგასი — სამპრასი 6:2, 6:1
1990	ფილადელფია	მეთექვსმეტედღიანი	სამპრასი — აგასი 5:7, 7:5 ტრავმა
1990	ამერიკის ჩემპიონატი	ფინალი	სამპრასი — აგასი 6:4, 6:3, 6:2
1990	მსოფლიოს ჩემპიონატი	წინასწარი	აგასი — სამპრასი 6:4, 6:2
1991	მსოფლიოს ჩემპიონატი	წინასწარი	სამპრასი — აგასი 6:3, 1:6, 6:3
1992	ატლანტა	ფინალი	აგასი — სამპრასი 7:5, 6:4
1992	როლან გაროსი	მეთხედღიანი	აგასი — სამპრასი 7:6, 6:2, 6:1
1993	უიმბლდონი	მეთხედღიანი	სამპრასი — აგასი 6:2, 6:2, 3:6, 3:6, 6:4
1994	კი ბისკეინი	ფინალი	სამპრასი — აგასი 5:7, 6:3, 6:3
1994	ოსაკა	ნახევარფინალი	სამპრასი — აგასი 6:3, 6:1
1994	პარიზი	მეთხედღიანი	აგასი — სამპრასი 7:6, 7:5
1994	მსოფლიოს ჩემპიონატი	ნახევარფინალი	სამპრასი — აგასი 4:6, 7:6, 6:3
1995	ავსტრალიის ჩემპიონატი	ფინალი	აგასი — სამპრასი 4:6, 6:1, 7:6, 6:4
1995	ინდიან უელსი	ფინალი	სამპრასი — აგასი 7:6, 6:3, 7:5
1995	კი ბისკეინი	ფინალი	აგასი — სამპრასი 3:6, 6:2, 7:6
1995	კანადის ჩემპიონატი	ფინალი	აგასი — სამპრასი 3:6, 6:2, 6:3
1995	ამერიკის ჩემპიონატი	ფინალი	სამპრასი — აგასი 6:4, 6:3, 4:6, 7:5
1996	სან ხოსე	ფინალი	სამპრასი — აგასი 6:2, 6:3
1996	შტუტგარტი	მეთხედღიანი	სამპრასი — აგასი 6:4, 6:1
1996	მსოფლიოს ჩემპიონატი	წინასწარი	სამპრასი — აგასი 6:2, 6:1
1998	სან ხოსე	ფინალი	აგასი — სამპრასი 6:2, 6:4
1998	მონტე კარლო	ოცდამეთორმეტედღიანი	სამპრასი — აგასი 6:4, 7:5
1998	კანადის ჩემპიონატი	მეთხედღიანი	აგასი — სამპრასი 6:7, 6:1, 6:2
1999	უიმბლდონი	ფინალი	სამპრასი — აგასი 6:3, 6:4, 7:5
1999	ლოს ანჯელესი	ფინალი	სამპრასი — აგასი 7:6, 7:6
1999	ცინცინატი	ნახევარფინალი	სამპრასი — აგასი 7:6, 6:3
1999	მსოფლიოს ჩემპიონატი	წინასწარი	აგასი — სამპრასი 6:2, 6:2
1999	მსოფლიოს ჩემპიონატი	ფინალი	სამპრასი — აგასი 6:1, 7:5, 6:4
2000	ავსტრალიის ჩემპიონატი	ნახევარფინალი	აგასი — სამპრასი 6:4, 3:6, 6:7, 7:6, 6:1
2001	ინდიან უელსი	ფინალი	აგასი — სამპრასი 7:6, 7:5, 6:1
2001	ლოს ანჯელესი	ფინალი	აგასი — სამპრასი 6:4, 6:2
2001	ამერიკის ჩემპიონატი	მეთხედღიანი	სამპრასი — აგასი 6:7, 7:6, 7:6, 7:6

სულ: სამპრასი აგასი 18:14

გიგა ბუჩახაშვილი

ქალაქი და ისტორია

დიდი ქალაქი ბუენოს აირესი 4-დან 13 სექტემბრამდე მიველ ნაილორფის მემორიალს მასპინძლობს. თუ მანცლამინც მემორიალებზე ვისაუბრებთ, აღვნიშნოთ, რომ არგენტინელი დილოსტატის ხსოვნის ტურნირი შემადგენლობით ბოლო ხანებში ყველას სჯობნის. მასზე სოლიდური ბოტვინიკის მემორიალი თუ იქნება, რომელზეც კარპოვს, კასპაროვსა და კრამნიკს ელიან.

მანამდე კი ამ სამეულიდან უხეხი არგენტინაში, სადაც ერთი წლის წინათაც მიაგო პატივი ნაილორფის ხსოვნას. მან კარპოვმა თავის სახელის კვალობაზე მოკრძალებულად ითამაშა და 10 კაცში მეთხუ ადვილზე გავიდა. ერთ ინტერვიუში კრამნიკმა თქვა, კარპოვი დაუბრუნდება მწვერვალს, თუ მონიშნა, მაგრამ საქმეც ესაა — უნდა კი? გრანდიოზული მიზანი კარპოვს აღარ ღარჩა, მსოფლიოს ჩემპიონი სამზის იყო, მერე ფიდე-ს ტიტულსაც რამდენიმე წელი ფლობდა და რომ ჩამოართვეს, სასამართლოს მიმართა. შარშან ქალიშვილი შეეძინა და არის თავისთვის წყნარად. იმ ტიტულისთვის კომპენსაცია თუ მიიღო, ხომ კარგი, თუ არა და ტურნირებზე მიწვევები არ მოაკლდება, ისიც ივლის და სიამოვნებისა და საპრიზებისთვის ითამაშებს. მოკლედ, თუ კარპოვი ახლა ასე ფიქრობს, სულ არ გაემტყუნება. მისი ბოლო წლების შედეგები ნათქვამს ადასტურებს.



ანატოლი კარპოვი

კარპოვს არგენტინის მთავარ ქალაქში ბევრი უცნობი არ დახვედრია. შარშანდღევით ისევე ერთი წრე და 10 მოჭადრაკე. მათგან იუდით პოლგარი, ნაიჯელ შორტი, ბრაზილიელი ყოფილერტო მილოში და არგენტინელი პაბლო რიკარდი შარშან ამ დროსაც იქ იყვნენ. ახლები გახლავან ქალთა მსოფლიოს ჩემპიონი სიუ უნი და მისი პარტია უმცროს პოლგართან უეჭველად ტურნირის მთავარი ინტრიგა იქნება. მოგესხნებათ, პოლგარი ქალთა ჭადრაკს არ ეკარება და საინტერესოა, მართლა ერთი თავით მაღლა თუ დგას დანარჩენ მანდილოსნებზე, როგორც ბევრი ამტკიცებს. მსოფლიოს ჩემპიონზე უკეთეს ოპონენტს იგი ვერსად იშოვიდა, თუმცა ცალი პარტიაც ბოლომდე ობიექტურ საზომად ვერ ივარგებს.

არის რეტრო-ინტრიგაც. მემორიალზე თამაშობს უბერბელი მასტერო ვიქტორ კორჩნო, რომელმაც ამას წინათ 70 წლისამ ბიდის სოლიდური ტურნირი მოიგო. მისი და კარპოვის პარტია იმ მდგომარეობაშია, როცა საბჭოთა კავშირიდან გაქცეულ კორჩნოს ორჯერ პქონდა კომუნისტური სისტემის გათავსირების შანსი, მაგრამ კარპოვთან ფინალები წააგო.

ჯერჯერობით ორივე ვეტერანი გვარაიანად თამაშობს. კარპოვი პირველ ტურში ერთადერთი გამარჯვების ავტორი გახდა. მან შვედეთი მსოფლიო მოუგო. რუსულ პარტიაში ბრაზილიელმა შეტევა განიზარა და მეფის ფრთაზე დიდი ჯარი დააგ-

როვა, მაგრამ ბევრად ეფექტური იყო ლაზიერის ფრთიდან კარპოვის იერიში. რამდენიმე სვლის შემდეგ მილოშის ფიგურები უაღრესად ვიწროდ იდგნენ და სულის მოთქმა პაიკში კუს გაწირვად დაუვლდათ. მერე კარპოვმა მატერიალური უპირატესობის ქულად გარდასახვისთვის 20 სვლა დახარჯა და ეს საქმე ფრიალზე შეასრულა.

მეორე ტურში კარპოვის მეტოქე უფრო სერიოზული ნაიჯელ შორტი გახლდათ და პარტიაში არაფერი მომხდარა, 32-ე სვლაზე ყაიმი გაფორმდა, ხოლო კორჩნომ იმავე შორტთან პირველ ტურში ყაიმის შემდგომ გამოიჭირა ტურნირის არიფი რუბენ ფალგაერი (რეიტინგი 2471) და კლასით დაჩაგრდა. ახუ: სუფთად წაართვა პაიკი და ძალთა სიჭარბე გამოიყენა.

იუდით პოლგარმაც ერთი მოიგო, სიუ უნის აქტივში ჯერ ყაიმებია. ხოლო 4 ლიდერის მარაქაშია პატარა აზერბაიჯანელი თეიმურ რაჯაბოვი, რომელმაც ერთი ყაიმი სიუ უნთან გააკეთა და მერე მასპინძელ პაბლო რიკარდის გადაარა.

დავით გულუა

ვითარება 2 ტურის შემდეგ
1-4. კარპოვი, კორჩნო, იუდით პოლგარი, რაჯაბოვი 1/2; 5-7. სიუ უნი, შორტი, მეინიგი 1/2; 8-9. რიკარდი, ფალგაერი 1/2; 10. მილოში 0.


ჩინეთმა რუსეთს შეჯბადა და გზვიდობით დაუორდა

ჩაფხობილს არ ჰგავდა ჩინეთი — რუსეთის მატჩი სწრაფ ჭადრაკში, რომელიც 5 სექტემბერს პეკინში შედგა და ყაიმით — 4:4 დასრულდა. ორარუნდანი ბრძოლის პირველი ნახევარი ყოველმხრივ გამოვლენებით იყო: 3 ვაჟისა და მანდილოსნისგან შემდგარმა ჩინეთმა კვარტეტმა რუსებს მძლავრად ხეთქა და 3,5-0,5 დაწინაურდა. ეს მაშინ, როცა რუსთა ბანაკში იყვნენ ფიდე-ს ექსპრემპიონი ალექსანდრ ხალიფმანი, პიოტრ სვიდლერი,

ყვენი შაპოშნიკოვი და ეკატერინა კოვალევსკაია, ხოლო ჩინელებს ჰყავდათ იე ინგუნანი, ჟანგ ფონგი, ნი ჰუა და ქსიუ იუპუა — სახელგანთქმულობის თვალსაზრისით შედარება არ არის.

სენსაცია მანც არ შედგა. რუსები მეორე რაუნდში გონს მოგვინ და 4-დან 3 პარტია მოიგეს, მეოთხეში კი ყაიმი დაფიქსირდა, რამაც საბოლოო ანგარიშში ზავი განაპირობა.

დავით გულუა



სერგეი იაშინის კონტრაქტის გაფორმებას მისი მშობლებიც დაესწრნენ

იაშინი სიბერედა უზრუნველყოფილია

ცნობილი ცენტრფორვარდი ალექსეი იაშინი თავის ნაჲ-ურ კარიერაში მეოთხედ აღარ გაფიცვია. ამის თქმა უკვე თამამად შეიძლება — რუსმა ვარსკვლავმა თავის ახალ კლუბ აილენდერსთან აქამდე არნახულ კონტრაქტს მოაწერა ხელი. პირველად ლიგის ისტორიაში პოკეისტმა ათწლიანი (!) ხელშეკრულება გააფორმა გუნდთან და ამ ხნის განმავლობაში, ასევე პირველად ლიგის ისტორიაში, დაახლოებით 90 მილიონ დოლარს მონებვს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იაშინი 28 წლისაა, მას შეგვიძლია დავხეხილი ცხოვრება და ბედნიერი სიბერე ვუწინასწარმეტყველოთ.

ბილდა არაერთი სახელოვანი კლუბი, რომლებიც ატლანტიდან ერთობ პერსპექტიული ილია კოვალჩუკის გადაბირებას ცდილობდნენ. „თრეშერებმა“ ამ წლის დრაფტის პირველი ნომერი არსად გაუშვეს და გასულ კვირას 18 წლის რუსს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. ამ ხნის განმავლობაში კოვალჩუკი ახალბედათათვის დაწესებულ მაქსიმალურ თანხას — 3 მილიონს მიიღებს, ხოლო მრავალრიცხოვანი ბონუსების ხარჯზე მისი მილიანი ჯამაგირი შეიძლება 8 მილიონამდე გაიზარდოს. აღსანიშნავია, რომ გუნდის მწვრთნელ კურტ ფრეზერს უკვე ამ სეზონში განუზრახავს მისი ყინულზე გაყვანა, თანაც არც მეტი, არც ნაკლები, მეორე სამეულში გამწესებას უპირებს. ცხადია, ამან ფრიალ შეაშფოთა რუსულ პოკეის თავანისმეტყველებით, რომლებსაც ნიჭიერი ყმაწვილის სამშობლოში ხილვა სურდათ. ამიტომ როგორც კი კოვალჩუკი ატლანტას კონტრაქტით დაუკავშირდა, რუსულმა პრესამ ერთი ამბავი ატეხა, არიქა, 18 წლის ბიჭუნებზეც კი ნადირობენ. მაგრამ რას იხამ, ყველას უნდა მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში თამაში და კოვალჩუკიც არ არის გამონაკლისი, მით უმეტეს, რომ სუსტ გუნდში მას გამოჩენვის მეტი შანსი ექნება.

მონრეალის ლიდერს და კაპიტანს, საკუ კოი-ვუს კი შესაძლოა კარიერის საუკეთესო ასაკში დასრულებამ მოუწიოს. როგორც „მონრეალ გაზეტში“ იუწყება, პოკეისტი რაღაც მძიმე სენითა დაავადებული და მინიმუმ ერთ სეზონს გამოტოვებს. დღესდღეობით კოივუ მონრეალის პოსპიტალში მკურნალობს და ტესტებს გადის, რომელთა სრული შედეგი ჯერჯერობით უცნობია. კოივუს პარტნიორების, ბრაიან სავაჟის და კრეივ რიკეს თქმით, ისინი თანაგუნდელს სავადმყოფოში იწვივნენ, თურმე საკუს მუცლის არეში ძლიერი ტკივილი აწუხებს და საერთოდ, ძალიან ცუდად გამოიყურება. დასანანია, რომ უნიკვირებს ფინელს ასე ჩამუწარდა ნაჲ-ური კარიერა. „სუომის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი ტრაგედიამა მართლაც რომ გააწამა, ექვსი წლის განმავლობაში მან ლამის სეზონნახევარი გამოტოვა და ახლაც ასეთი გასაჭირი დაადგა.

სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა კიდევ ერთი ცნობილი მოთამაშე — ტეორენ ფლერი. წინა სეზონის შუაგულში „ჯუჯუა ტიომ“, ყველასთვის მოულოდნელად, რეინჯერსი მიატოვა და დღემდე უცნობი მიზეზების გამო ლიგის სპეციალურ სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩაება. ვარაუდობდნენ, რომ იგი ნარკომანიისგან იკურნებოდა. ლიგის ყველაზე დაბალი მოთამაშე (166 სმ) ასევე მოულოდნელად დაბრუნდა და კანადის ოლიმპიური ნაკრების საწვრთნელ ბანაკსაც კი ეწვია. შეგახსენებთ, რომ გაქრობამდე ფლერი კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებდა და ლიგი MVP-ს მაძიებელთა შორისაც კი მოიხსენიებოდა.

სამეილ ღარიბაიანი

თანაც, ეს დიდძალი თანხა ისე განაწილდა, რომ პირველ და ბოლო სეზონებში 6,4 მილიონი ერგება, ხოლო ხელფასის უმეტეს ნაწილს კონტრაქტის მოქმედების შუაგულში მიიღებს. გასამრავლო იმხელაა, რომ მასში დამატებითი ბონუსები, ცხადია, მაქსიმალურად შემცირებულია. ზედმეტი ფულით პოკეისტს მხოლოდ იმ შემთხვევაში წახალისებენ, თუ მას ლიგის MVP-ს ტიტულზე წარადგენენ.

ბუნებრივია, იაშინი ძალიან კმაყოფილი დარჩა. „სასაიამოვნოა, რომ აილენდერსში ასე დამაფასეს. თუმცა ეს კიდევ უფრო ზრდის ჩემს პასუხისმგებლობას გუნდის წინაშე“ — განაცხადა მან საგანგებო პრესკონფერენციაზე. მოგესხნებათ, რუსი ლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრფორვარდად ითვლება, მაგრამ მთელი მისი კარიერა აღმართ-დაღმართებისაგან შედგება. რვა წლის განმავლობაში იაშინი ოტავას უეჭველი ლიდერი იყო და გუნდის ბოლოდროინდელი წინსვლაც უპირველესად მის სახელს უკავშირდება. თუმც მას ხშირად აკრიტიკებდნენ პლეი ოფში ნაკლებად ეფექტური თამაშის გამო, ხოლო „სენატორთა“ ბოსებთან საკონტრაქტო კონფლიქტებმა პოკეისტის ოტავური კარიერა შეიწირა. ყველაზე გახმაურებული იაშინის ბოლო, მესამე გაფიცვა იყო, როცა მან 1999-2000 წლების მთელი სეზონი გამოტოვა და მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო წელს ბრწყინავდა, ოტავამ რუსთან დამშვიდობება ამჯობინა. ვინ იცის, იქნებ გუნდის მესვეურებმა ინანონ კიდევ თვითნებური საქციელი, რადგან იაშინის ახალ კლუბ აილენდერსს დიდი გვეგები დაუსახავს და პლეი ოფში შესაძლოა სწორედ ოტავას გადაუღობოს გზა. ყოველ შემთხვევაში, ნიუიორკელთა ახალ პატრონს, წარმომობით ჩინელ ბიზნესმენ ჩარლზ ვანგს გუნდის გასაძლიერებლად ფული ნამდვილად არ დაუშურებია და ზაფხულში კლუბის ყველა წარმომადგენელს გაუფორმა კონტრაქტი, მათ შორის კიდევ ერთ ცნობილ მეამბოხეს, მაიკლ პეკას. მან ეს სახელგანთქმული მოთამაშე, რომელმაც წინა სეზონი მთლიანად გამოტოვა, ხუთწლიანი და 20-მილიონიანი ხელშეკრულებით აცდუნა.

სხვა ამბებიდან კიდევ ორს გამოყოფთ. გაწ-

კრიკეტისა და სპორტის

მანუელ სტიპარტი, ლენოქსის მწვრთნელი, ფიქრობს, რომ მძიმე წონაში მსოფლიოს უპირობო ჩემპიონის პასივობა რაპიდისა და ყოფილი ჩემპიონის, მისი შვილის რემატის, შესაძლოა კვლავ რაპიდის გამარჯვებით დასრულდეს, მაგრამ ასე იქნება თუ ისე, მაიკ ტაისონი ორივესთვის იოლი ლუკმაა.

„თუმცა, ხალხი რაპიდთან ლენოქსის მარცხს შემოხვევითობად მიიჩნევს და მეკითხება, რა მოხდება მას შემდეგ, რაც ის ქაშაყებს დაიბრუნებს. ისინი ტაისონთან შესაძლოა ბრძოლას გულისხმობენ,

თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ლენოქსის კარიერას რაპიდი უფრო ემუქრება, ვიდრე ტაისონი. საქმე კი ის არის, რომ ხალხს ისევ 1987 წლის ტაისონი ახსოვს, ჰგონია, რომ რინგზე დღეს მას იხილავს. არადა დღეს, ტაისონმა ლენოქსის ლუისის ან პასივობა რაპიდის გამარჯვებაზე ფიქრიც კი არ უნდა გაბედოს. ეს მისთვის წარმოდგენილი სირთულის ამოცანაა. მან ათ წელიწადზე მეტი ციხეში გაატარა და ბოლო რამდენიმე წელიწადია კანტიკუნტად ჩხუბობს. იმ სამყაროში, სადაც ლენოქსი და რაპიდი არიან, ტაისონი ვერ იცხოვრებს“.



ქვე ველტმერის წონაში დიდი ბრძოლა მზადდება: კოსტია ძიუ 3 ნოემბერს ზაბ ჯუდას უნდა შეხვდეს. გამარჯვებულს სრული უფლება ექნება, თავს მსოფლიოს უპირობო ჩემპიონი უწოდოს.

„ბევრს ჰგონია, რომ 23 წლის ჯუდა მაკობებს“ — ამბობს ძიუ — „საქმე კი ის არის, რომ ამერიკაში არასოდეს ვუყვარდით და არასოდეს ვეყვარებით. ამიტომაც, სულ არ მაინტერესებს რას იტყვიან“.

შემდეგ ძიუმ მეტოქე დაახასიათა: „ის სწრაფად მოაზროვნეა, მოძრაობითაც სწრაფია, დინამიკური და ახალგაზრდა. მასთან ბრძოლა ჩემთვის მართლაც კარგი გამოწვევაა. მე კარიერაში ბევრ დიდ ჩემპიონთან მიჩხუბია, ის კი მათ შორის ყველაზე უმცროსი გამოდის“.



ალრიან ლევისი, პასივობა რაპიდის მწვრთნელი, ლენოქსის ლუისსა და მის ბანაკს აფრთხილებს, რომ რემატის დროს გაცილებით მეტს უნდა ელოდონ, ვიდრე მხოლოდ სწრაფად და ლინერად მოქმედი მუშაა. შეგახსენებთ, რომ აპრილში რაპიდი ლუისს WBC-ს, IBF-ისა და IBO-ს ქაშაყები სწორედ ერთი მოქმედი ჩამოართვა და ახლა, 17 ნოემბერს, ლას ვეგასში რემატის ელის.

თავზე გადატეხილი აზრისა და როდესაც ვინმე ჯაბნის, მაგალითად ისე, როგორც 1994 წელს ოლივერ მაკლომა დაჯაბნა, იბლაზე იწყებს ლაპარაკს. ახლა, რემატისში ჩვენ დიდი ბრძოლის მოლოდინი გვაქვს. მაშინ, პასივობა ლუისი მეხუთე რაუნდში დაანარცხა, ახლა კი ვფიქრობთ, რომ უფრო ხანგრძლივი და სანახაობრივი ჩხუბი გაიმართება. მაგრამ მეტოქე ჩვენ კვლავ ვერ გვაფასებს ღირსეულად, რადგან ვიუტად იმეორებს, რომ რაპიდს ყველაზე კარგად სწორედ ერთი მოქმედა ეხერხება.

ლუისის თქმით, ლუისი ბავშვობის, როდესაც ცდილობს დაამტკიცოს, რომ ტიტულები უიღბლობის გამო წააგო.

„ლუისი პასივობა ამბობს, რომ მას იბლაზე მარჯვენა აქვს, მაგრამ როდესაც ეკითხებიან, რა განსხვავება იბლაზე მარჯვენასა და იმ მარჯვენას შორის, რომელიც ისტორიაში ხვდება, პასივობა არ აქვს. დიხს, ლუისი საკუთარ

უბრალოდ, ლუისი რაპიდზე ცოტათი მაღალია და ამიტომ ხელით უფრო შორს წვდება, მაგრამ პასივობა პირველი ბრძოლის პირველ ოთხ რაუნდში ის მოძრაობით დატანჯა, ხშირად ურტყამდა და ახლაც იგივეს გაიმეორებს.



WBA-ს ჩემპიონი კრეისერის წონაში, ვირგილ პილი ფან-მარკ მორმეკთან ბრძოლის თარიღისა და ადგილის გარკვევას ელოდება. ცნობისთვის: კრეისერის წონა 86,3 კილოგრამს უდრის.

მოკრეისერის მწვრთნელი 15 წლიანი სტაჟით, ბილ სორენსენი ამბობს, რომ მას უკლებს ბრძოლა 1 დეკემბერს გაიმართოს ბისმარკში, სადაც პილს WBA-ს ქვეშიძე წონის ტიტული 80-იანი წლების ბოლოს ცხრაჯერ დაუცავს.

37 წლის პილზე ამბობენ, რომ ახლა „ბებრის ყვავილობა“ უდგას მას მერე, რაც ერთი ხნის წინ დარიუმ მისაღწევს და რთი ჯონსმა სცემეს. მის ახლანდელ ბრძოლას „სედიკა კუშერი პროდაქშენზი“ აწყობს, რომელსაც გამარჯვებისთვის 501 444 დოლარი აქვს გამოყოფილი.

პირველი მარტოველი იტალიელი ნიკა ცქიტოშვილი მამსი ფრანსის ბანგაგლოზაში ბენეტონი უამოსავს



ნიკა ცქიტოშვილი

მეორის ელიტარულ საკალათბურთო ლიგებზე ლაპარაკს ყველაზე ხშირად იტალიურით იწყებენ. აპენინის ნახევარკუნძულზე მართლაც მძლავრ და ვარსკვლავებით დასუქმულ ლიგას დაუდგია ბინა. მასში მოთამაშე კლუბები კი ევროპას აზანზარებენ. სწორედ იქ, იტალიაში, მომავალი სეზონიდან ქართველი ითამაშებს. საქართველოს ნაკრებისა და ლიუბლიანის „სლოვანის“ თვრამეტი წლის 210-სანტიმეტრიანი ფორვარდი ნიკა ცქიტოშვილი პირველი ქართველი იქნება, რომელიც ევროპის ერთ-ერთ წამყვან ჩემპიონატს დატანჯდება. მის ახალ კლუბს ბოლო წლებში მოპოვებულ ტიტულთა სიმრავლით სამშობლოში ცოტა თუ გაეჯობება.

ბოლო ათწლეულში სკუდეტოსა და საპორტას თასის ორჯერ მომხვეჭ ტრევიზოს „ბენეტონს“, რომელსაც ქვე-

ნის თასი სამჯერ აღუმართავს, ქართველისთვის თვალი შუა იელისში, თავის ეგიდით მოწყობილ ტანდალ კალათბურთულ საწვრთნელ-საჩვენებელ ლენოქსზე დაუდგამს, სადაც ნიკა ცქიტოშვილი ზაზა ფაჩულაისთან ერთად იმყოფებოდა. მაგრამ იტალიური კლუბი არ აჩქარდა და მის მწვრთნელს, ცნობილ მარკ ფლეიშმანთან დივიზიონ საქმე, რომელიც ფაჩულაისა და ვლადიმერ ბოისას გარდა კვირ გარნეტისა და ნბა-ს სხვა ცნობილ ვარსკვლავთა საქმის მწარხველიც გახლავთ. ცქიტოშვილს კი ბოლო ხანებში „სლოვანთან“ ფინანსური პრობლემები შეექმნა. სლოვენური კლუბმა ნიკას ვერ აუნახლაურა ის თანხა, რომელიც ბოლო თვეებში გუნდში თამაშისთვის უნდა მიეღო და ქართველმაც სლოვენიდან აბარება განიზრახა. ეს რომ ფლეიშმანმა შეიტყო, უმაღლესი სლოვენიაში გაჩნდა, „სლოვანის“ ხელმძღვანელობას კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებები შეახსენა და მათი დარღვევისთვის ნიკას გუნდიდან განთავისუფლება მოსთხოვა. „სლოვანს“ კონტრაქტით კიდევ ერთი წელი ვეკუთვნილი, მაგრამ ფინანსურმა პრობლემებმა მაიძულა, სხვა გუნდში გადასვლაზე მეტიფრა სლოვენელებს რომ მშვიდობიანად დაეშორდი, ეს ჩემი მწვრთნელის დიდი დამსახურებაა“ — გვითხრა ნიკა ცქიტოშვილმა.

მოავგარა თუ არა საქმე ბალკანელებთან, ფლეიშმანი აქვინელებს დაუკავშირდა და მათგან მოწონებული ცქიტოშვილი გაახსენა. იტალიელებიც დაფაცურდნენ და ყველაფერს წერტილი ორიოდ დღის წინ დაესვა, როცა ტრევიზოდან „ბენეტონის“ მიერ გამოგზავნილ კონტრაქტს ნიკა ცქიტოშვილმა ხელი მოაწერა და უკანვე გააგზავნა. „დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ბენეტონელი ვარ. ჩემს მიერ ხელმოწერილი კონტრაქტი ექვსწლიანია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ხნის განმავლობაში ვერსად წავალ. კონტრაქტი ისეა შედგენილი, რომ ერთი წლის შემდეგ შემიძლია, გუნდი როცა მინდა, მამინ დაეტოვო. ამ მხრივ პრობლემები გამორიცხულია“ — განმარტა ნიკა ცქიტოშვილმა.

დღეს საღამოს ცქიტოშვილი მოსკოვს გაფრინდება, საიდანაც იტალიაში გაემგზავრება და თავის ახალ კლუბს შეუერთდება. მას „ბენეტონში“ დარჩენის შემთხვევაში იტალიისა და რუსეთის ნაკრების წევრებთან — დენის მაკონატოსა და სერგეი ჩიკალოვთან მოუწევს თამაში. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ცქიტოშვილის თქმით, შესაძლებელია ტრევიზოულმა კლუბმა იგი თავიდან სხვა კლუბში განათხოვროს. თუმცა ფლეიშმანი კალათბურთულს დაპირებია, რომ ძირითად გუნდში მოხვდება. „არ ვიცი, ასე მოხდება თუ არა, მაგრამ ფლეიშმანს მითხრა, რომ მე აუცილებლად იმ თორმეტ მოთამაშეს შორის ვიქნები, რომლებიც მომავალ სეზონში „ბენეტონს“ ძირითად შემადგენლობაში ეყოლება — სხვა გუნდშიაც რომ განათხოვრონ, ცქიტოშვილი უკმაყოფილო არ დარჩება — იტალიის ლიგა ერთ-ერთი მოწინავე ვერობაში და იქ თამაში ძალიან ბევრს მომცემს. არც სლოვენური სკოლა ურიგო, მაგრამ იტალიაში უფრო მეტ ყურადღებას მომაქცევენ. ბენეტონი ვარ, რომ ასეთ ძლიერ ჩემპიონატში ვიასპარეზებ, თავიდან „ბენეტონში“ რომც ვერ ვითამაშო, ეს ტრაგედია არ იქნება, პირაქით, უფრო სუსტ კლუბში საშუალება მომეცება, იტალიურ კალათბურთის ალლო ავულო და კლასი ავიმაღლო“.

ირაკლი პერტაია

ჯონსონის რეკვიემი

„არ მიხდა, სპორტიდან ჩაჩანაკი წავიდე, აი, ასეთი უნდა ვახსოვდე ხალხს: პირველი ყველა შეჯიბრზე“ — განაცხადა მაიკლ ჯონსონმა ბრისბენში, სადაც კეთილი ნების თამაშებზე ამერიკის სახელით თავის ბოლო ესტაფეტას ირბენს, მერე კი ბუცებს გაიძრობს. ცნობილია, რომ ჯონსონი ირბენს მომავალ კვირასაც იაპონიაში, მაგრამ ის საჩვენებელი გამოსვლა იქნება, აქ კი პროფესიულ კარიერაზეა ლაპარაკი.

სნობიდან წავიდა და არა მარტო — ირკვევა, რომ სპორტის დედოფალი ლამის შეუძლებელია. მძლეოსნობა მოსაბეზრებელი სპორტია, განაცხადა თურმე ლუისმა და ჯონსონმა ეს იწყინა, როგორ თქვაო.


ჯონსონის კარიერა კი უადრესად ფერხორციანი იყო. მის ტიტულებზე რამდენჯერმე გვითქვამს და გავიმეორეთ: 5 ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონატების 9 ოქროს მედალი, 200 და 400 მეტრის მსოფლიოს რეკორდები და შედეგი, რომლითაც ჯონსონი ჯერ უნიკალური კაცია მან ერთ ატლანტის ოლიმპიადაზე 200 და 400-მეტრიანი გარბენები მოიგო.

„გული დამწყდა, როცა გავიგე, რომ კარლი შეჯიბრებზე დასწრებასაც ადარ აპირებს — თქვა ჯონსონმა ტელეინტერვიუში — მე მგონი, მას არ უჩქარია, თავისი საბოლოო აზრი გამოეთქვა და სწორედ ესაა ცული“.

ლუისი ბედნიერად იყოს და ჯონსონი ამ დღეებში საერთო ყურადღების ცენტრშია. მოვლენა მიდის მძლეოსნობიდან, ამიტომ ყურანლისტები ეკითხებიან ყველასა და ყველაფერზე მაგალითად, რას აპირებს, შენი 16 თვის შვილი მძლეოსნად ხომ არ უნდა გაზარდო და მისთანები. ჯონსონიც ენაწყლიანობს.

„მისთან ადარ დამრჩა — ამბობს ჯონსონი — ცხოვრებაში არ მიფიქრია, მედლები მიკრავებინა და ამით ვინმესთვის გამეხსრო. სხვა რამ მსურდა: მივსულიყავი კონკრეტულ შეჯიბრზე და გამეკეთებინა აქამდე გაუკეთებელი“.

„თქვენ მეკითხებით, დღეიდან რას გავაკეთებ — განაგრძობს ჯერ კიდევ



მაიკლ ჯონსონი ცხოვრების განგასაყარება

მოქმედი სპრინტერი — ვიცი, რომ მძლეოსნობაში დავრჩები, ოღონდ ჩემი ფუნქცია ვერ ვერ გავიზარებ. ყველაფერს მაინც კომენტატორობა მიჩრევენია“.

სწორედ საყურადღებო ცნობაა განთქმული ტელეკომპანიებისთვის.

დავით გულუა

ზაზი ვიკინგის ფერიცვალება


სიდნეის ოლიმპიადაზე ვაჟთა 800 მეტრი გერმანელმა ნილს შუმანმა მოიგო, მიმდინარე სეზონის დასაწყისში ამ დისტანციაზე რუსი თინეიჯერი ოური ბორზაკოსკი დომინირებდა, მერე და მერე, თვით ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩათვლით, შეეცარევილი ანდრე ბუზერი გაბატონდა. ამ დროს კი თითქოს არც არსებობდეს დანიის კენილი მოქალაქე, სამეზის მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი უილსონ კიპკეტერი. მართლა, სად იყო ეს კაცი? კიპკეტერმა სიდნეიში ვერცხლი მოიპოვა და დაიკარგა: ფეხის ტრავმა 3 ქონდა. აქიმობამ აპრილამდე გასტანა და გაირკვა, რომ ესეც არ ყოფილა საკმარისი, რადგან პორტუგალიაში ვარჯიშების განახლებისთანავე ტრავმა კვლავ გაუმიზეხდა. კიპკეტერი ისევ ჩაიძირა და მხოლოდ ახლა შეახსენა თავი სამძლეოსნო მსოფლიოს, თან ცოტა სხვანაირად.

მძლეოსნის მწვრთნელი ჰენრიკ პაულსენი გვაუწყებს, რომ უილსონ კიპკეტერი დღეიდან საშუალო დისტანციებს ადარ ირბენს და 4X400 მეტრიან ესტაფეტებზე გადაერთვება. „მან ვარჯიში განახლა, მაგრამ საუკეთესო

სო ფორმაში ვერაფრით ჩადგა და 800 მეტრზე გული ამიტომ აიყარა“ — განაცხადა პაულსენმა.

28 წლის ექსმოსოშუალოეს განუზრახავს, პირველად დანიის ჩემპიონატზე გამოვიდეს.

დავით გულუა



უილსონ კიპკეტერი სხვაგან ბრუნდება

საღვარა სალი ხელით პეპერს სათვალავი პერია



პრედრაგ სტოიკოვიჩი

იუგოსლავია 114:78 ლატვია

იუგოსლავია: ბოდიროვიჩი (6), ტორლაჩი (8), დრობნიაცი (11), გუროვიჩი (20), სტოიკოვიჩი (29), რაკოვიჩი (6), იარიჩი (13), შიპანოვიჩი (7), ტომაშევიჩი (6), პეტროვიჩი (2), მილოვიჩი (6) ლატვია: მიგლინიევიჩი, ბაგატსკისი (14), შტელმანერსი (2), ვეკვაგარსი (2), ვალეიკო (2), პელმანისი, ვიტოლსი (4), კამბალა (18), ლაკა (18), ვალტერსი (13), კობრუსი (5)

ვინ გახდება ევროპის ჩემპიონი, ამის გამოცნობა ძალიან ძნელია, თუმცა ტურნირის მასპინძელი თურქეთი, ნოვიცკის გერმანია და მთავარი ფავორიტი იუგოსლავია სანუკვარ მიზნამდე რიხინ-რიხინით მიიწევენ.

ფაქტია, რომ ჩემპიონობამდე კარგა რთული აღმართია დასაძლევია, მაგრამ იუგოსლავიელები რომ წლავლ კონტინენტის უპირველესი გუნდის ტიტულის დაბრუნებას ეშურებინან, ამას ყველა კარგად ხედავს.

„თამაშს დიდი სიამოვნებით ვუყურებდი. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ნახევარფინალში გავედით. ვფიქრობ, ერთობ ძლიერი მეტოქე დავაპარტყეთ. ლატვიამ ისეთი გუნდები გამოიღო ასპარეზობას, როგორებიც ლიტვა და სლოვენია არიან. ეს არ იყო იოლი მატჩი. მერწმუნეთ, ამას ყოველგვარი ირონიის გარეშე ვამბობ. ის, რომ ჩვენ ლატვიელები ორმოცი ქულით დავამარცხეთ, რეალურად არ ასახავს გუნდებს შორის ძალთა თანაფარდობას. ლატვია გაცილებით უხერხული და საშიში მეტოქეა. მან ეს უკვე დაამტკიცა. უბრალოდ, ჩვენმა დაცვამ ფანტასტიკურად ითა-

მაშა“ — თქვა ნამატჩევს იუგოსლავიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სვეტისლავ პეშიჩმა. მართალია, იუგოსლავიელთა თავკაცმა ცოტად აღწერა დადამარცხებინა ლატვია, მაგრამ ეს ძალიან მცირედი დეტალია და უზომოდ გახარებული, ემოციური პეშიჩის ამისთვის გამტყუნება არ ეგების.

იყო მონაკეთი, როდესაც იუგოსლავია მართლაც ორმოცი ქულით უგებდა ლატვიას. ეს საფინალო სირენამდე ორი წუთით ადრე ხდებოდა. „ბუდუჩნოსტის“ ფორვარდმა დეიან მილოვიჩიმ ვესელის პეტროვიჩის აცილებულს დაამატა. მანამდე სლავებს მთელი მატჩის განმავლობაში საცოდავ დღეში ჰყავდათ მეტოქე: არმანდას კრასლინს და მის შევირდებს ალბათ დიდხანს ემასოვრებათ გუშინდელი დღე გუნდებს გახურებაც არ დაემთავრებინათ, რომ ბალკანელები 30:9 უგებდნენ ბალტიისპირელებს. „საკრამენტო კინგზის“ 206-სანტიმეტრიან ფორვარდ პრედრაგ სტოიკოვიჩის შორეულ სროლებს ვერავინ ვერაფერი მოუხერხა. იუგოსლავიელმა სამქულიანი ხაზის გარედან შვიდიდან შვიდი (!) ტყორცნა ჩაჭვდა ლატვიელთა კალათში და ეს მან ჯერ კიდევ პირველ ნახევარში შეძლო. როდესაც მსაჯმა დიდი დასვენებისა ჩასტყვნა, სტოიკოვიჩს 27 ქულა მიეთვალა.

რა უნდა ექნათ ბალტიისპირელებს მრისხანე მეტოქისთვის, როდესაც მათ ყოველ გაფაფხურებას მეტოქე ზუსტი სამიანებით პასუხობდა. იუგოსლავიელები არც იკლავდნენ თავს მეტოქის დაცვის გასარღვევად. მიღან გუროვიჩის სტოიკოვიჩის წყლი გადგება, მაგრამ, ეტყობა, მთლად კარგად ვერა, რადგან მისი ცხრა სამქულიანიდან „მხოლოდ“ ექვსმა სამქულიანმა უწია მიზანს. იქვე ვლადო შიპანოვიჩმა გამოყო ხელი და რაღაც წუთის ინტერვალით ორი სროლით ექვსი ქულა დაუმატა თავისი გუნდის მონაგარს.

ლატვიელები კი ცდილობდნენ რაიმე შეეცვალათ, მაგრამ შეტევიდან საკუთარ ნახევარზე ჩასვლას ვერ ასწრებდნენ, რომ ბურთი უკვე მათ კალათში ფართხალედა.

მეორე ნახევარში სვეტისლავ პეშიჩმა მატჩის გმირი პრედრაგ სტოიკოვიჩი მოძავალი მატჩებისთვის შემოინახა. დარჩენილ დროში სტოიკოვიჩი ოდენ სამი წუთით გამოჩნდა მოედანზე. იუგოსლავიელების მთავარმა დამრტყმელმა ძალიან და გუნდის სულმა და გულმა დეიან ბოდიროვიჩმა მხოლოდ ათი წუთით მიიღო მონაწილეობა ლატვიელთა ბრვეაში. ამ ხნის განმავლობაში ბოდიროვიჩს მეტოქის კალათის დალაშქვრა აზრადაც არ მოსულია, ან რა საჭირო იყო, როდესაც დანარჩენებიც ცალი ხელით აცამტყვრებდნენ ლატვიას.

ბალტიისპირელთა საცოდაობა მაშინ დასრულდა როდესაც მსაჯმა საფინალო ჩასტყვნა. ამ დროს ტაბლოზე ანგარიში 114:78 იყო...

ბაჩო სვანიძე



ლატვიელი კასპარს კამბალა (№14) და პრედრაგ დრობნიაცი ბურთისთვის იბრძვიან



ესპანელი ლუსიო ანგულო ზახარ პაშუტინს გადაეღობა

რუსები: იღბალი, იღბალი...

მსაბათი 62:55 რუსეთი

ესპანეთი: ა. რიუესი (13), პარაისო (5), ანგულო (9), როდრიგესი (2), სიმენსი (3), გარბახოსა (4), ლოპესი (2), ნავარო (12), გასოლი (7), კორნაი (5) რუსეთი: ვ. პაშუტინი (2), კუდელინი (6), ზ. პაშუტინი (5), პანოვი (8), მორგუნოვი (6), ჩიკოლინი (12), ბაშინოვი (9), კირილენკო (7), სამოილენკო

ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალები ესპანეთისა და რუსეთის დაპირისპირებით დასრულდა. იუგოსლავიის მიერ ლატვიის უმოწყალოდ განადგურების შემდეგ, „აბდი იპეჩის“ დარბაზში თავმოყრილ არცთუ მრავალრიცხოვან მაყურებელს გაცილებით დაძაბული და საინტერესო ბრძოლის ხილვის იმედი ჰქონდა, რასაც ისიც აძლიერებდა, რომ ეს გუნდები ტურნირზე ამ მატჩამდე საუკეთესო თავდასხმის მქონე იყვნენ. თუმცა ისე არაფერი ვეტყვინოთ, როგორც ამ მეოთხედფინალის მონაწილეებმა დარბაზში და ტელეკრანებთან მყოფთა მთლიანი გაამართლეს. უამრავი დაკარგული ბურთი, შეცდომები, არაზუსტი სროლები — აი, რა ნახა მაყურებელმა.

ამ უშინ თამაშში საბოლოოდ ესპანეთმა გაიმარჯვა და ევროპის 1999 წლის ვიცე-ჩემპიონმა გაისად ამერიკის ქალაქ ინდიანაპოლისში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობაც გაინაღდა. გასული მსოფლიო პირველობის ვერცხლის მდღალოსან რუსებს კი ოკეანის გაღმა გასამეზავრებლად ჯერ ლატვიის დამარცხება სჭირდებოდათ და მერე საფრანგეთსა და ხორვატის შორის საუკეთესოს.

გამარჯვება იბრებს ბოლო წუთებზე ხუან კარლოს ნავაროს ორმა რთულმა ტყორცნამ და ლუსიო ანგულოს ჩაჭრებმა მოუტანა. არადა, მანამდე ნავარო ერთობ უხვირად ირჯებოდა და 16 ცდიდან ოდენ სამჯერ მოეთავსებინა ბურთი მოწინააღმდეგის კალათში. მის მსგავსად მეტისმეტ უზუსტობას იჩენდნენ დანარჩენი მისი თანაგუნდელებიც, განსაკუთრებით სამქულიანი რკალის გარედან, საიდანაც 16-დან მხოლოდ ერთხელ ივარგეს.

ესპანელებს დიდად არ ჩამოუვარდებოდნენ რუსებიც, რომლებსაც მართალია სამქულიანების ჩაგვების პროცენტი უფრო მაღალი (25) ჰქონდათ (20-დან 5), მაგრამ სამაგიეროდ ახლო და საშუალო მანძილებიდან 33 სროლიდან 19 გააფუჭეს. მატჩის დაწყებიდან დაახლოებით ხუთი წუთი იყო გასული, როცა ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა პირველი ბურთი ჩააგდეს თამაშიდან. თუმცა პირველი მეოთხედი მინც მათი გამარჯვე-

ბით დასრულდა (13:7), რამც მთავარი წვლილი ნიკიტა მორგუნოვმა შეიტანა თავისი ორი ზუსტი სამქულიანი.

ერთი საგულისხმო დეტალი — შეხვედრის დაწყებიდან 15 წუთის თავზე ჯამში ორივე გუნდს 15 ბურთი ჰქონდა დაკარგული.

ბევრი ელოდა, რომ ამ ნაკრებების დაპირისპირება ნა-ში ახალგადასული კალათბურთელების დუელში გადაიზრდებოდა. თუმცა ვერც იუტელმა ანდრეი კირილენკომ და ვერც „მემფისის“ პაუ გასოლმა მთლიანად ვერ გაამართლეს მათზე დამყარებული იმედი. ისე, ესპანელმა ცოტათი მაინც აჯობა რუსს და მასზე ოთხით მეტი მოხსნა (9) მიითვალა. გასოლი მესამე მეოთხედში გაიხსნა, როცა ფარზე ალფონსო რიესის დახმარებით გაბატონდა და თავისიანებს წინ გასვლის შესაძლებლობა მისცა. თუმცა მესამე ათწუთეულის ბოლო წამზე იგორ კუდელინმა დაახლოებით 8-9 მეტრიდან სამქულიანი ჩააგდო და ანგარიშიში თანაფარდობა აღადგინა — 43:43.

თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა ბოლო მეოთხედში, სანამ მოედანზე ლუსიო ანგულო არ დაბრუნდა. მან ზედიზედ სამი ჩაჭრა გაახერხა და ესპანეთი წინ გაიჭრა. რუსებს კი ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა აღარ შეეძლოთ, რადგან მანამდე უკვე ძირითადის ორი კალათბურთელი მოესაკლისებინათ — ზახარ პაშუტინმა 35-ე წუთზე მიიღო მეხუთე პერსონალური, ორ წუთში კი მისი ბედი სერგეი პანოვმაც გაიზიარა. თუმცა სლავებმა ერთიც გაიფარა და მარცხი რაულ ლოპესის ორმა ზუსტმა საჯარიმომ მათ ბოლო მოუღო.

„ესპანელები დაცვაში ძალიან ძლიერად გაისარჯნენ. მატჩის მიწურულს იღბალიც მათ მხარეს იყო, თორემ ნავაროს ის ორი სროლა ვერ უნდა ჩაეგდო. ჩვენ კალათბურთი ვერ ვითამაშეთ. ეტყობა სამდღიანმა დასვენებამ ჩვენზე უარყოფითად იმოქმედა. ესპანეთი დღეს გვეჯობდა და ეს ფაქტია“ — განაცხადა რუსთა თავკაცმა სტანისლავ ერომიჩმა.

მისმა კოლეგა ზავიერ იმბროდამ კი პირესკონფერენციაზე ეს თქვა: „უზომოდ კმაყოფილი ვარ. რუსები და ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობდით, რადგან მოსამზადებელ პერიოდში ვითამაშეთ. ამიტომაც ძალიან გაგვიჭირდა. დაცვაში, შეიძლება ითქვას, მშვენივრად გავისარჯეთ, თავდასხმაში უარესად, მაგრამ, იმედია, ამას იუგოსლავიისთან ნახევარფინალურ მატჩამდე გამოვასწორებთ.“

ბაჩო სვანიძე

იქას ლოკოპოზი

ლონდონში ახალი სტადიონი გაიხსნა. იქაურ რეინიგზლებსაც უყონადიათ და „ლოკოტივი“ აუშენებიათ. სტადიონი გაუხსნია უკრაინის სიამაყეს, ჭოყით სტომის დიდოსტატს, ოლიმპიურ და ექვსგზის მსოფლიოს ჩემპიონს, სერგეი ბუბკას. დამსახურებული ბუბკა ახლა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრია და სწორედ აღმასკომს გაუღია 50 ათასი დოლარი სტადიონის სპორტული დანადგარების შესაძენად.



ეროვნული ბიზნისი

REUTERS ფონტეკოიდან



REUTERS ბრისბენიდან

გოგონა და დელფინი


დელფინი ერთ დროს ადამიანი იყო, თუ ადამიანი იყო დელფინი, ამბობენ ჭკვიანი კაცები. ასეა თუ ისე, ჩვენ ორთა მეგობრობა ცნობილია. ბრისბენის ახლოს კი, სადაც ამჟამად კეთილი ნების თამაშები მიმდინარეობს, არის სრულიად ჯადოსნური ადგილი, რომელსაც „ქეინზლენდის ზღვის სამყარო“ ჰქვია. აქ ნებისმიერ ადამიანს დელფინთან მეგობრობა და თამაში შეუძლია. მსოფლიო ჩემპიონი ჭოყით სტომამი, ამერიკელი სტეისი დრაგილაც ამაში გვარწმუნებს. ფოტო სულაც არ არის სარეკლამო, „ზღვის სამყაროში“ მთავარია წყალში ჩახტე და დელფინიც დაგიმეგობრდება.



REUTERS ბრისბენიდან

ბიღის

ღმის ბრისბენის კეთილი ნების თამაშებზე სპორტს ეთხოვება დიდი ამერიკელი მორბენალი მაიკლ ჯონსონი. თხუთმეტწლიანი საამაყო კარიერა 4x400-მეტრზე ესტაფეტაში მონაწილეობით დასრულდება. მაიკლს ავსტრალიაში ოჯახიც ჩამოუყვანია, შეუძლებელი კერი და პატარა სებასტიანი, რომლებიც მასთან ერთად მისულებს გამთხოვებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე.




REUTERS კალგარიდან

პირველი შეკრება

კალგარიში ოთხდღიანი შეკრება გამართა კანადის ჰოკეისტთა ოლიმპიურმა ნაკრებმა. ოქროს მედლებს დამინებელი გუნდი პირველად შეიკრიბა და ყინულზე 34 ვარსკვლავს უხმეს. მათ შორის არიან (მარცხნიდან): დეტროიტელი ბრენდან შენაჰანი, ანაჰაიმელი პოლ კარია, შიტსბურგელი მარიო ლემიე და ბუფალოელი ჯეი მაკეი.

უილიამსუბი და თაბაუი

კმლამ ამერიკის ღია პირველობა და კვლავ უილიამსუბის ოჯახი. სანამ ვინუსი კორტზე ამარცხებს ბელგიელ კიმ კლაისტერსს (ნ:პ, ნ:1), სერენა ტრინუნას მომდგარ მზეს ეფიცება, მამა რიჩარდი კი ჩვეულ საქმეს არ დალატობს და მოთამაშე ქალიშვილს სურათს უღებს.



REUTERS ნიუ იორკიდან

სარბიელი
საორტული გაზაფთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის საფაბრატოს,
ოთხფაბრატოს, სუთფაბრატოს,
პარასკავს და შაბრატოს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი ბიორბი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
ტექნიკური რედაქტორი პანტაზ ბაჩიაძე
ფეხბურთის რედაქტორი რედაქტორი სოსო კობორაძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი მირაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულუაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი გია ახალაძე, ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტორები გურამ დოღენჯაშვილი, ბაღირ კეთილაძე
სტილისტები მათა აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ ვოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბულაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თვლაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომწვევი ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge